№ 36. 16 თებერვალი, ხუთშაბათი. 1866—1884 16 თებერვალი, ხუთშაბათი. № 36.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

**არწრუნის თეატრი.**

**პარასკევს, 17 თებერვალს**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გამართავს წარმოდგენას ქართული დრამატიული დასის დახმარებით. მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი

წარმოდგენილი იქნება:

**სამშობლო!**

დრამა ხუთ მოქმედებად და ექვს სურათად ფრანციცულიდგან გადმოკეთებული თ. დ. ერისთავისაგან.

ფ. ა. კლიმის პეტერბურღელი საბანკირო კანტორა აცხადებს, რომ მან დანიშნა თავის აგენტად ქ. ქუთაისში, 5% შინაგანის მოგებითი სესხის ბილეთების გასაყიდველად—თვე და თვე ფულის გადახდით,—და დასაზღვევლად,

ბ-ნი ილია ჭყონია,

რომლისადმიც მივმართავთ ყველა მსურველებს დაწვრილებითი პირობების შესატყობლად. (5—1)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს ქუთაისის საზოგადოებას, რომ ოცს თებერვალს მე მივალ იქ და დავიწყებ ავად-მყოფების მიღების სასტუმრო ფრანციაში.

კბილების ექიმი ბ. დე რიუმინი.

## შინაური ქრონიკა

ბაქოს ნავთს, როგორც შევიტყეთ, ახალი გზა ეხსნება; ბბ. ნიკოლაძეს და სტრუგოვშჩიკოვს, რომელთაც კავკასიის რკინის-გზის საზოგადოება ჰგზავნის სპარსეთში დეპუტატებად ქალაქ რეშტამდე რკინიგზის გაყვანის ნების აღებისათვის, მინდობილი აქვთ აგრეთვე მოილაპარაკონ ნავთის-გასაყვან მილების გაკეთებაზე ბაქოდამ თეირნამდე. ამ მილების გაყვანას რუსეთის მთავრობაც ძალიან კარგის თვალით უცქერის თურმე და ბ. პოლოშკოვსკის უმაღლეს ადგილებში დაჰპირებიან ამ საქმეში ყოველი საშუალებით ხელის შეწყობას.

ის პირნი რომელთაც ალუნაკოვის ქერივის მოკვლა ბრალდებათ, ყველანი თურმე რიგიანი შეძლების პატრონნი არიან. ეს გარემოება, რასაკვირველია, უფრო ამძიმებს მათს დანაშაულს, თუ ხსენებულნი პირნი მართლა ამ საზარელი საქმის მომქმედნი გამოდგნენ.

ზუშინწინ, თებერვლის 14 ს, დაუბარებია სტოლიარები მათს უსტაბაშს ბ. ნაუმენკოს და უთქვამს, რომ მე თქვენი უსტაბაშობა აღარა მსურს და სხვა ამოირჩიეთო. სტოლიარებს მიუღიათ ბ. ნაუმენკოს წინადადება და ამორჩევა გადაუდვიათ მომავალ ორშაბათისათვის. ამას გარდა, სტოლიარებს ამ შეკრებილებაში გამოუცხადებიათ უკმაყოფილობა თავიანთ წესდებისადმი და ბ. ნაუმენკოს იმედი მიუცია, ეს წესდება მალე შეიცვლება და თითონ თ. დონდუკოვ-კორსაკოვიც დაგვპირდა ამ ცვლილებასაო.

ზემო-ქალის მასწავლებლის თანაშემწე ბ. იოსებ ზედგინიძე გვთხოვს, რომ გამოვაცხადოთ, ვითომ ტყუილად დაეწამოთ მისთვის ცილი ჩვენს გაზეთში და რომ მას შეგირდებისთვის არც უცემია, არც არავისთვის ჩექმა-კალოში გაუწმენდინებია,—შემდეგ ბძანებს:

«სამი წელიწადი ვიყავი მასწავლებლად კახეთში და ისრე ერთგულად მიმყავნდა რაც შეეხება მასწავლებლის საქმეს, რომ მთავრობა ჩემზედ კმაყოფილი იყო. მე შენიშვნის ავტორი თუ ვერ მიცნობს, მთავრობა და ის ადგილობრივი საზოგადოება ხომ კარგად მიცნობს. რომ პედაგოგიური ნიჭით და ენერგიით არ ვიყო დასაჩუქრებული, ხომ მთავრობა არ იქნებოდა კმაყოფილი და დამითხოვდა კიდეც. რაღა სოფ. ზემო-ქალაში გავხდი უნიჭო და ისეთი ტირანი, რომ შეგირდებს ცუდად ვეპყრობი»?

ესეც კმარა ბ. ზედგინიძის სარეკომენდაციოდ.

კახეთიდამ იწერებიან, რომ იქ დიდი თოვლი მოსულა, თითქმის არშინამდე დაუდვია. საქონლის უსაჭმელობით ხალხი თურმე ძალიან გაჭირვებულია.

მართალი გამოდგა! ორი თოთხმეტის წლის ქალი ალათია ჯოლამძისა და ელის. ყასაბაშვილისა მიუყიდნიათ მათს მომტაცებლებს, ავალიანს და მაკაროვს, ქალების მოვაჭრე ანნა ყანდინოვნასათვის. ეს საბ-

«დროების» ფელეტონი, 15 თებერვ.

### თებერვლის ხუთი

(გორის ყრილობის შესახებ).

„ტკბილსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილი მოუბარი"

(დასასრული*)

დაიშალა ხალხი; აირ-დაირია; მიდის-მოდის; ქუჩა გაიმსო; მიეშურებიან აქეთ-იქით სადილის საჭმელად; თითქმის ყველას სიამოვნება აწერია სახეზედ; ხელების ფშვნეტით, ღიმილით და ცმუკვით მიდიან. ეტყობა გაუმარჯვნიათ, ეტყობა თავისი გაუყვანიათ,—ვიფიქრე მე. მიდიან, მიბაასობენ.

— რომ ვერ გამიყვანეს ხალიდამ; ან რად გავიდოდი; მე მართალი ვსთქვი, ამბობს ს. კ—ი.

— პანღურს ხომ ვერ ამოგკრავდენ და სხვა რაღა გინდოდა,—ეუბნებიან პასუხად.

— ყმაწვილო, ამბობს ერთი ქალაქიდამ მოსული სტუმარი, მე საშინლად გამაკვირვა თ. რ. ე.—მა; მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ მაგათ გვარეულობაში მაგისთანა პირი მოიპოვებოდა. საზოგადოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი დიდი გვარეულობანი განხრწნილებას მიეცნენ. თავისაზე ხელი აუღიათ, გადასხვავება უნდათ. მაგრამ ამათ ლამურის საქმე დაემართებათ. ლამურამ თაგვობა იუკადრისა და ჩიტობა მოინდომა. ფთები გამოესხა, მაგრამ ველარც ფრინველობა გასწია და თაგვებშიც გამოწყდა. ესეც კია, რომ რამდენიც უფრო მეტი წილი გადამურავდება იმისთანა პირებთაგან, როგორიც დღეს ჩვენ ვნახეთ, იმდენი ჩვენთვის უმჯობესია. რამდენადაც მასიამოვნა თ. რ. ე., იმდენად გული მომწყვიტა თ. ა.— თ. რ. ე. ძლიერ იმოქმედა დღევანდელს ყრილობაზე. მის სიტყვას, როგორც იმისთანა კაცისას, რომელსაც პატივს სცემენ, სიტყვას უჯერებენ, ხმა აქვს,—დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხზე. მე თქვენ დაგარწმუნებთ, მას რომ მიებაძნა მემარჯვენეებისთვის და ისე ცხარედ და დალაგებით ელაპარაკნა წინაღმდეგ, როგორც იგი ლაპარაკობდა საქმისკენ, —იმათკენ გადიწევდა სასწორი და ჩვენ დავიჯაბნებოდით. ამასაც დაგარწმუნებთ, რომ თ. ა—ს რომ რამდენიმე სიტყვა ეთქვა თავად-აზნაურობისათვის ამ საქმის შესახებ, იმდენი ყაყანი აღარ იქნებოდა, უფრო მალე მოეღებოდა საქმეს ბოლო. «გული შემტკივაო», სთქვა, მაგრამ ჩვენ კი არაფრით დაგვიმტკიცა თავისი გულშემატკივრობა.

— უნდა თ. რ. ე—ს ახალ-გაზდობამ მადლობა გამოუცხადოს ამისთანა თავ-გამოდებისათვის, ამბობს ქუჩაზე გამოსული ახალ-გაზდები.

მართლადაც, ახალ-გაზდებმა თურმე სადილზე სადღეგრძელო დალიეს და მადლობის ბარათი გაუგზავნეს თ. რევაზ ერისთავს.

შესრულდა ხუთი საათი. მიეშურება თავად-აზნაურობა, რომ დანარჩენი საქმეები მაინც მალე გაათავოს. აგერ ლაგდება ხალხი. უცბად შემოგვესმა მაღალი ხმა; ლაპარაკია კალოშებზე. ერთი უბედურობა თურმე სჭირს ამ ოხერ გორსა: არ შეგიძლიან ახალი კალოშები ჩაიცვა, ან იმ დღესვე მოგპარვენ, მეორე დღეს—ხომ მაინც არ აგცდება. ორჯერ მოვიდა გორში ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი და ორჯელვე კალოშების ქურდობის მოწმად გახდა. ადრევ ერთმა გორის საზოგადო «კრუჟოკის» წევრმა მოიპარა კალოშები, და როცა მას ასამართლებდენ «კრუჟოკის» ზალაში, აკაკიც იქ დაესწრო; ეხლაც, როცა ერთმა რიგიანმა თავადმა დაიბრალა კალოშების ქურდობა ერთ რომელიღაც... პრისტავს და ფეხებიდამ ხდიდენ მას, აქ დაესწრო.

მერაფერი რეკომენდანციაა ჩვენი თავად-აზნაურთა ყრილობისათვის ამ ნაირი შემთხვევა, მაგრამ ყოველთვის დიდებული საქმის დაბოლოვება ისრე არ ჩაივლის, რომ უმსგავსოება არა გამოერიოს-რა. ასიან ქვევრს ერთი თაგვის წრუწუნა წაპილწავს ხოლმე, მაგრამ იმას მოაშორებენ, ნათლის წყალს დაასხმენ ასიანს და ისევ ჩინებულ ასიანად დარჩება, ღვინოს ისევ ძველებურად ჩინებულს და გემოიანს დააყენებს ხოლმე.

— მე ბევრი მოწმეები მყავს, რომ ეს კალოშები ვიყიდე დილას დონდაროვის მაღაზიაში; შენთვის, აი ნახეთ, დიდებიც არის; მე ძველი კალოშები არა მცმია, ყმაწვილო, და გთხოვ დამიბრუნოთ! გაიხადეთ ჩქარა და! ეუბნება გაცეცხლებული თავადი.

— ჩემია, ეუბნება... ჩვენი ლეკოკი; ვერ მოგცემ.—იქნება კიდეც ამისი არ იყო, მაგრამ გაჯიუტდა; ერთხელ რაკი ვსთქვი: ჩემია, უარს ხომ ვერ ვიტყვიო; ჩემს დაფურთხებულს ხომ მე ველარ აულოკავო. არა, ბევრჯერ თურმე ლოკავთ ხოლმე დაფურთხებულს და ეხლაც რომ აგელოკნათ არას დააშავებდით....

კალოშებზე ჩხუბი ზარის წკრიალმა შესწყვიტა. ადგა წინამძღოლი და მოახსენა კრებას: კომისიამ, სხვათა შორის, პროტოკოლისამებრ საგუბერნიო კრებისა, შეადგინა პროექტი უუმსუბუქესს საშუალობაზე ფულის მოსაგროვებლად ჩვენის შვილების აღსაზრდელი ფონდის შესადგენად. მე მომყავს შინაარსი მისგან წაკითხულისა მხოლოდ მოკლედ: კომისიამ დაინახა კარგ საშეღავათო საშუალებად შემდეგი ღონისძიება ფულის მოკრებისათვის: გაჰყო თავად-აზნაურობა ამ შემთხვევით სამ ხარისხად:

ა) პირველს ხარისხს შეადგენენ ის თავად-აზნაურნი, რომელთაცა ჰყავთ დროებით ვალდებულნი გლეხნი, რომელთაც ჯერ არ გამოუსყიდნიათ მებატონეთაგან მამულები. ამ თავად-აზნაურთათვის კომისიამ დააწესა შემდეგი ღონისძიება ფულის მოკრებისათვის: ეთხოვოს, სადაც ჯერ არს, რომ შემდგომ გლეხთაგან მამულების შესყიდვისა, მთავრობამ იმ თავად-აზნაურებს, რომელთაც ერგებათ ფული, დაუჭიროს ხვედრი ფული. რასაკვირველია, ამისათვის წარედგინებათ სიები იმ მებატონეთა, რომელთაც ერგებათ ფული მამულებისა; ბ) მეორე ხარისხში იქმნებიან თავად-აზნაურნი, რომელნიც სხვა-და-სხვა ალაგას არიან სამსახურში მოხელეებად. იმათ მთავრობას წარედგინებათ მათი სიები და ჯამაგირიდამ გამოერიცხებათ ფონდის ფული; გ) მესამეს ეკუთვნიან ის თავად-აზნაურნი, რომელთაც არც დროებით ვალდებულნი გლეხნი ჰყავთ და არც სამსახურში ირიცხებიან. ამისთანა აზნაურნი უფრო ნაკლებად არიან. ამათ სიას შეადგენს წინამძღოლი და თვით იხმარს ისეთს ხერხს, რომ შეუწუხებლად, შეღავათით გამოართვას. შეგროვილი ფული წარსდგება სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში.

ყრილობამ ალტაცებით მიიღო ასე-

*) იხ. «დროება» № 35.

რალო მსხვერპლნი ადამიანის ანგაარ-მოყვარეობისა იმყოფებიან ეხლა თბილისის მეექვსე განყოფილებაში. ნეტა როგორ ჩაცვივდენ ეს საბრალონი ამ მდგომარეობაში? ვინ მისცა მათ ბილეთი თბილისში ჩამოსასვლელად? როგორ მოხდა ეს საზიზღარი ვაჭრობა ისე, რომ პოლიციამ ვერა გაიგო-რა? ან თუ მაშინ ვერ გაიგო, ეხლა მაინც რატომ ყურს არ იბერტყავს, არ გამოჰგლეჯს ამ საცოდავ ქალებს გარყვნილობის ბუდიდამ და არ ჩააბარებს პატრონებს? ეს მით უფრო საჭირო და საჩქაროა, რომ თითონ ქალები სიკვდილს რჩევობენ თურმე ამისთანა სამარცხვინო ადგილას ყოფნას.

≈ სავაჭრო ნავოსნობის დამხმარებელი საზოგადოების განყოფილებას ფოთში, როგორც «Новое Время» იწერება, გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს მმართებლობის წინაში, რათა ამ ქალაქის ნავთ-სადგური მალე მოსრულდეს.

∞ გაზ. «ახალი მიმოხილვის» სიტყვით, გუშინ-წინ, 13 თებერვალს, თბილისის სამოსამართლო პალატაში გაურჩევიათ საქმე ქ. ბაქოში მცხოვრების ხოლის ბახმახჩი ისმაილ-ოღლისა, რომელსაც ბრალდებოდა მკვლელობა. ეს მკვლელობა ისეთი შესაზარი და შემაძრწუნებელია, რომ კაცი ვერ დაიჯერებდა, თუ სამსჯავროში ნამდვილად არ დამტკიცებულიყო. აი საქმის გარემოება: ბაქოში ცხოვრებდა ერთი რუსკიპ ქალთაგანი, იასში-ხანუმა, რომელთანაც ხოლის ბახმახჩი ისმაილ-ოღლი დაახლოვებული ყოფილა თითქმის ხუთის წლის განმავლობაში. ბოლოს მათ შორის ჩამოვარდა თურმე განხეთქილება; 1 თებერვალს წარსული 1883 წლისას, იასში ხანუმამ გამოუცხადა თურმე თავის საყვარელს, რომ იმას აღარა ჰსურს მასთან ცხოვრება და უთხრა, რომ წასულიყო ის იმის სახლიდგან. ამასთანავე, როგორც ხოლის ბახმაჩი ისმაილ-ოღლი ამტკიცებს, იასში ხანუმამ უარი უთხრა მას 200 მანეთზე, რომელიც რამდენიმე დღის წინად მიებარებინა მისთვის შესანახავად. გაბრაზებულმა ხოლიხმა ჯერ ხანჯლით დაკაფა იასში ხანუმა, შემდეგ გაუჭრა ყელი და იქიდამ სისხლი ამოსწოვა, იმიტომ რომ, როგორც თვითონ დამნაშავეს უთქვამს, დამშვიდებულიყო. ბოლოს ხოლიხმა მოსჭრა თავი თავის მსხვერპლს, დაიჭირა ხელში, მთელ ქალაქზე გაატარა და მიიტანა პოლიციაში. სამსჯავროში ხოლიხი უარს არ ამობდა თავის დანაშაულზე, მხოლოდ ამტკიცებდა, რომ ეს ბოროტ-მოქმედება ჩავიდინე ამ დედაკაცის სიყვარულის გამო,—მე ის გაგიჟებით მიყვარდა და ისკი უარჰყოფდა ჩემს სიყვარულსაო. ხოლიხისთვის გადაუწყვეტიათ ცხრა წლის ვადით კატორგაში გაგზავნა.

## «დროების» კორესპონდენცია.

—

ქუთაისი, 14 თებერვალს. გათავდა! დასრულდა კენჭის ყრის ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა, წუხელის, ღამის ათს საათზე საბჭოს დარბაზში. თავმოყრილმა მრავალმა მაყურებელმა გულის ფანცქალით მოისმინა კენჭობიის შედეგი: ქალაქის თავად ამორჩეულ იქმნა იგივე ლუკა ასათიანი, რომელსაც მეტოქეც ვერავინ გამოუნახავრდდა, და გამგეობის წევრად იგივე ივანე მესხი, რომლის მოცილედ არავინ ისურვა გამოსვლა...

მრავალი სამდურავი, დიდი ფახი და ქადილი ისმოდა წინაამდეგ ქალაქის თავისა და გამგეობის წევრისა; თავდაპირველად თითქმის ყველა ხმოსანნი ერთხმად გაშავებას ჰპირდებოდნენ ორთავეს... ბიუჯეტის დამტკიცების დროს მართლაც აგრძნობინეს მათ, რომ აღარ ხუმრობდნენ: ქალაქის თავის ჯამაგირი 2000 მანეთამდის შეამცირეს და წევრისა 1000 მანეთამდის... მდივნად ზ. კანდელაკი ამოირჩიეს.

კენჭის ყრის შედეგი უკვე ვიცით... ამ შედეგმა ის უფრო დაამტკიცა, რომ ახალ ხმოსანთა უმრავლესობას სწორედ ის თვისება ჰკლებია, რაც შეადგენს უძვირესს ღირსებას საზოგადოებრივ მოღვაწეთათვის—აზრის სიმტკიცე. ან რად თათხავდენ და აძაგებდენ ისე საშინლად ზ. ასათიანს და, მეტადრე, ივ. მესხს და ამ ძაგებისთვის ფერ-მისამატებლად რად უკლებდენ მათ ისედაც არა-დიდს ჯამაგირებს, ან და თუ ეს მათი ყოფა-ქცევა გამოწვეული იყო მტკიცე აზრის მუშაობისაგან—რად ათუთრებდნენ მათგან ნაძაგებ პირებს?! მკითხველი ნუ გაიკვირვებს მათს საქციელს, რადგანაც ამ ბატონ—ხმოსანთა უმრავლესობის კვირაში შვიდი პარასკევი...

ამ წლისათვის ქუთათურები მოუთმენლად მოველოდით გაზეთის «შრომის» აღდგენას სიგათას ძილისგან, მაგრამ მოლოდინი ჩვეულებისამებრ გაგვიცრუვდა: რედაქციას უარი მოუვიდა ბეჭდვის საქმეთა მთავარ-გამგეობისაგან პეტერბურღში, რომ თქვენი თხოვნა მანდ ცალკე, ცენზორის დანიშვნაზე «არ შევიწყნარეთო». სწორედ ასე სწერია, მიზეზი კი არაფერია ნაჩვენები: «თქვენი

---

თი, მშვენივრად მოსაზრებული პროექტი. არავინ მოელოდა ამას, და ეს ისეთი ზარი იყო მოწინაალმდეგე დასისათვის, რომ სულ დავთრები დაებნათ. ამათ ეგონათ, რომ უთუოდ პრისტავით გადაახდევინებდენ, კარს მიადგეოდენ იასაულებით, როგორც გლეხებს.

— თანხმა ხართ, ბატონებო, ამ აზრზე? თუ თანხმა ხართ, აი პროტოკოლიც მზად გახლავთ და ხელი მოაწერეთ,—ეუბნება წინამძღოლი.

— უკეთესი რა იქმნება, უკეთესი! თანხმა ვართ. მოაწერეს ხელი. დადგა გული გულის ალაგას. ჩამოვარდა სიჩუმე; ყველას ლოდი მოეშვა. მაგრამ სიჩუმეს, გაყუჩებულს მდგომარეობას რომელიმე უცები ბუნების მოვლენა მოსდევს.

ერთმა პოლიციელმა ბატონს წინამძღოლს მოართვა დაბეჭდილი ქაღალდი; ვნახოთ, მობძანდა თვით მაზრის წარმომადგენელიც. გახსნის წინამძღოლი ქაღალდს, ხმა-მაღლა წაიკითხავს. შიგ სწერია, რომ აზნაურნი ზ. ჯ—შვილი და ჭი—შვილი ამისთანა და ამისთანანი არიან, რომ პირველმა, ზ. ჯ—მა რამდენჯერმე ბორის ქუჩებზე ავაზაკობა მოახდინა, რომ მან გასცარცვა ამ ბოლოს დროს ქუჩაზე ერთი საწყალი ხელოსანი, ამისაგამო ის ეხლა ციხეში ზის, მაშასადამე—დავუმატებ მე—ის სამჯავროს წესით დასჯილ იქმნება—გაგზავნილი ციმბირსა-შინა. მეორემ ჭ—მა დიდ-ძალი ავაზაკობა ჩაიდინა, აამყრალა და აამტუტა მთელი სოფელი და ახლო-მახლო ადგილები, რომ მე ადგილობრივ გავგზავნე კაცი, თუ თვით მე გამოვიკვლიეო, რომ ჭ—ი ნამდვილი შემაწუხებელი წევრია თვისი საზოგადოებისა, რომ «პრიგოვორი», შედგენილი გლეხთა საზოგადოებისაგან აზნაურ ჭ—ზე ნამდვილი აღმოსჩნდა.—მაგრამ არც «პრიგოვორში», არც ბ. მაზრის უფროსის წინამძღოლთან მიწერილობაში არა სჩანდა, თუ სახელდობრ რა საქმეში სდებდენ აზ. ჭ—ს ბრალს. ბატონი მაზრის უფროსი სთხოვდა თავად-აზნაურთა ყრილობას, რომ ჭ—ი და ჯო—რაშვილი გადაესახლებინა სადმე შორს სამშობლოდგან.—ესრეთი წინადადება ბ. უფროსისა ერთობ ეუცხოვათ კეთილ-შობილთ.—«დრო გამოიცვალა», იტყოდა ხოლმე თავადი ლუარსაბ თათქარიძე, მეც დავუმატებ: თღონდაც რომ გამოიცვალა დრო: ამას წინად უჭირვებდით საქმეს მმართებლობას: ესა და ეს ავაზაკი დაგვიბრუნეთო, ახლა უნდა გვაკისრებინონ, რომ ბორის მაზრა ბუდეა ავაზაკობისა და ვინც დაგისახელოთ, მაშინვე უჭიტლაყეთ სამშობლოდამაო.

ჩვენ გულით და სულით დარწმუნებულნი ვართ, რომ თ. ა. ა—ს, მაზრის უფროსს ეს მოსდის საქმის სიკეთისათვის, ჩვენის მხარის დამშვიდებისათვის, რადგან რაოდენიმე ბიწიერი წევრის მოშორებით ვითომ-და მოისპობა, ანუ უკეთ ვსთქვათ, შემცირდება ავაზაკობა, ბოროტ-მოქმედება. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ წინადადებას, თუ იგი როდისმე ჯეროვანს ყურადღებას მიიღებს თავად-აზნაურთა კრებისაგან, ექმნება დიდად მავნებელი შედეგი. არ გვესმის რაღა შუაშია აქ თავად-აზნაურთა ყრილობა, როდესაც გვაქვს სამსჯავრო (судебныя учрежденія), გვაქვს ადმინისტრაცია, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება—პირველს—დაიჭიროს, ღირსება ახადოს, ვინც გინდა იყოს ბოროტი პირი, და გაგზავნოს, სადაც ღირსად დაინახავს, —მეორეს—ადმინისტრაციას—შენიშნული პირი ოც-და-ოთხ საათში (ასე ვსთქვათ) გაგზავნოს სამშობლოდამ, როგორც იტყვიან, «შავის კარეტით»? არ გვესმის, თუ რად და რისთვის, რა საბუთის და კანონის ძალით აუკვიატა თავად-აზნაურობას ბ. მაზრის უფროსმა მავნე პირთა—აზნაურთა გაძევება სამშობლოდამ?—ამიტომ ამ ბ. მაზრის უფროსის წინადადებამ, იქნება ძალიან გულწრფელმაც და რაიმე განზრახულების უქონელმა, გამოიწვია არა უსაბუთო სჯა და ცხარე და შეტეული ბაასი.

— მე პირადად ძლიერ პატივს-ვცემ, სულით და გულით თანავუგრძნობ ბ. მაზრის უფროსის დაწყობილებათა,—დაიწყო მ. ყიფიანმა, მე პირადად მიყვარს ბ. ამირინდო, მაგრამ არ შემიძლიან არა ვსთქვა რამდენიმე მოსაზრება ამ წინადადების შესახებ. მე არ გავამართლებ არც ჭ—შვილს და არც ჯ—შვილს; ისინი—ვენდობით ბ. უფროსს,—თავიანთ ავაზაკობისათვის ღირსნი არიან იქნება უარესი სასჯელისაც, მაგრამ შევხედოთ საქმის სამირკველს, პრინციპს, გადმოვაბრუნოთ ამ საქმისა მეორე გვერდი და ჩვენ წარმოგვიდგება სრულებით სხვა რამ. ჯერ ერთი ესა, რომ აზნაური იგზავნება გლეხ-კაცობის «პრიგოვორით». თუ დღეს კრება მიიღებს რომ გლეხ-კაცობის გარდაწყვეტილებით იგზავნოს აზნაური, მაშინ ჩვენ ამ ორთა წოდებათა შორის ჩამოვაგდებთ ძველებურს, ბატონყმურს სიძულვილს, რომელიც ამ ჟამად თითქო წაიშალა, თითქო ჩაქრა. ადვილადაც შეიძლება მოხდეს, რომ გლეხთა საზოგადოება ვინმემ გააბრიყვოს, შეადგენინოს განჩინება სრულებით უვნებელ და მათთვის მოსარგებლე პირზე და წარუდგინონ უფროსს და ამ უკანასკნელმა კრებას, რომელიც უკრივ-უგინებლად უპანჩურებს თავის წევრს. ეს ადვილი მოსაფიქრებელია, უფრო იმიტომ, რომ «პრიგოვორს» თითქმის პირ-და-პირ ეძლევა ძალა, თითქმის უაპელაციოდ. ამას თავი დავანებოთ, შევხედოთ საქმეს მეორეს მხრივ: მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ა. ა—ს, მაზრის უფროსს, ეს ბოროტ-განზრახულობით არ მოსდის; ისიც უნდა დარწმუნებული იყოს, რომ მე ამითი ბოროტ-მოქმედებას არ ვუსარჩლები. ეს ყველა კარგი და პატიოსანი, მაგრამ, მაგარი ეს არის, რომ თუ ერთხელ-და-ერთხელ თავად-აზნაურთა ყრილობა კანონად დაიდებს, რომ ადმინისტრაციის ჩვენებით, მისი გამოკვლევით და გამოძიებით, რომელიც—ნება მიბოძეთ ეჭვის შეტანისა—ყოველთვის არ იქნება სამართლიანი,—დიახ მისი ჩვენებით მან დაჰკლას თვისი შვილნი, შეისვაროს მათი უმანკო სისხლით ხელი და გზავნოს იგინი «შორს-შორს, ცის დასავალსა», «куда Макаръ телятъ не гонитъ», მე მგონი, კარგი და მოსაწონი არ იქმნება. ეს დასტური თავად-აზნაურობისა სხვისთვის, სხვა მაზრის უფროსისათვის—არ ვამბობ ეხლანდელზე—იქმნება საშინელი იარაღი, საშინელი მახვილი, რომელიც არა ერთს უმანკო სისხლს დააქცევდა სამშობლოს გამოასალმებს და მას ზედ უნუგეშოდ აკვნესებს. ამიტომ, ბატონებო, ჩემის აზრით, თხოვნა უფროსისა უნდა უყურადღებოდ დარჩეს. გაგზავნონ მავნე პირნი თვითონ მინიჭებულის ნებითდა კანონით*).

ამ სიტყვამ გამოიწვია ბარაქალა და ტაშის-კვრა. აქ თავად-აზნაურობამ თვალი გაახილა, რომ მას მომავალში უმზადდება საშინელი საფთხე, რომელიც ბევრს მისს უმანკო, სამშობლოსთვის სასარგებლო შვილს უდროვოდ გამოასალმებს ტკბილს სამშობლოს. ამ წინადადებამ გამოიწვია ისეთისავე შინაარსის სიტყვა, როგორიც სთქვა ბ. ყიფიანმა, მაგრამ სიტყვა უფრო მკაცრი, რომელიც ასე თუ ისე ცოტა არ იყო შეეხო ადმინისტრაციას და გამოაცხადა უნდობლობა შესახებ ჭ—ს საქმის გამოძიებისა. ასრეთი სიტყვა სთქვა თ. ი. ც—მა, რომელსაც როგორც კაცის-კვლა, ისე მაზრის უფროსის შეურაცყოფა არა სდებია სახეში.

აქ წამოვარდა, როგორც გაშმა-

---

*) ბოდიშს ვიხდი მ. ყიფიანთან, უკეთუ მისი სიტყვა შევცვალე, ან მივუმატე რამ, გავაზვიადე, ან დავაკლე რამ, რადგანაც შეიძლება, რომ მეხსიერებას ეღალატნოს ჩემთვის.
ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნა არ შევიწუხნარეთო»... სხარტულად, მაგრამ ცხადად კია ნათქვამი...

**ბათუმი, 10 თებერვალს.** Iანვრის გასულამდის ბათუმში თოვლი თითქმის არ ყოფილა, მაგრამ თებერვლის დამდეგს რამდენიმე დღე განუწყვეტლივ ითოვლა ისე, რომ ორ მტკაველზე დასდო. მარხილებით დაქროლავენ ქუჩებში «ბედნიერნი ამა სოფლისა», მაგრამ ბათუმში თოვლი დიდი ხნის სტუმარი არ არის, ორი კაი მზიანი დღე სულ წყლად აქცევს.

დიდი მოძრაობა იყო ბათუმში კეროსინის გადატან-გადმოტანაზე. დიდ ძალი დროგები მუშაობდენ. Iსე გაცხოველდა ეს მუშაობა, რომ ვისაც კი ცოტაოდენი გროშები უჭყაოდა ჯიბეში, ყველა მიესწრაფებოდა ეყიდნა დროგი. ამასთანავე, საშინლად ულმერთოდ ეპყრობოდენ ცხენებს მუშაობის დროს. ხშირად ცალ ცხენს იმოდენა საპალნეს დაუდებდენ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო წაღება. რამდენჯერ მინახავს ქუჩაში ქანცმოწყვეტილი წაქცეული ცხენი, რომელსაც პატრონი დაუნდობლად სცემდა. თითქო ბედმა შეიბრალაო საცოდავი პირუტყვები, ახლა ძალიან იკლო ამ მოძრაობამ, რომელიც შემდეგში სულ მოისპობა, რადგანაც აქ ცხენის რკინი-გზას აკეთებენ.

ამას წინადაც ვიწერებოდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ ბათუმელი ბერძნები ძალიან თანაუგრძნობენ სწავლა-განათლებასა-მეთქი. აგერ რამდენი ხანია, რაც ბათუმში არსებობს ბერძნის საზოგადოება, რომელიც თავის საკუთარის ხარჯით ინახავს ბათუმის ბერძნულ სკოლას. ყოველ ღონისძიებას ხმარობს ეს საზოგადოება, რომ თავის სკოლას აღმოუჩინოს რაიმე შემოსავლიანი წყაროები. ამავე საზოგადოების თაოსნობით ბათუმში სამჯერ იყო გამართული საღამოები, საიდგანაც, როგორც ამბობენ, ბევრი ფული შემოსვლია სკოლას. გულით და სულით ღირსია ეს საზოგადოება სრულის სიმპატიისა ამ კეთილშობილურის მოღვაწეობისათვის. ვისურვებ, რომ ჩვენმა ბათუმელმა ქართველებმაც მიჰბაძონ ამ საზოგადოებას ამ გვარს კეთილშობილურს მოძრაობაში, რომ იმათაც თავისებური თანაგრძნობა და სიყვარული არ მოაკლონ ჩვენს «წერა-კითხვის საზოგადოების» ქართულ სკოლასა. ვისურვებ, რომ ჩვენ ქართველებს არ მიებძანოთ იმ ზოგიერთა პირთათვის, რომელთაც ამისთანა საზოგადო ქვეყნის საქმეები როგორღაც ეხამუშებათ—«პატრიოტობას შეგვწამებენო».

დასასრულ არ შემიძლიან დავფარო ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე იქონია ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელმა ამ დღეებში, როცა მე გავიცან ამ სასწავლებლის სახელოსნო განყოფილება. მმართებლობის ნება-რთვით სასწავლებელში არსებობს სადურგლო, სადაც ეს ხელობა უნდა ისწავლონ მოსწავლეებმა. გარდა სახელოსნოსი, სასწავლებელში გაუხსნიათ კიდევ სხვა სახელოსნოებიც: სტამბა, ლიტოგრაფია, და წიგნების საკდე. ყველა ეს ხელობები უნდა ისწავლოსო ბავშვმა! საკვირველად მიმაჩნია ამდენი სახელოსნოები სასწავლებელში მით უფრო, რომ ჩვენში საზოგადოდ ეს განყოფილება სასწავლებლებში ძალიან სუსტად მიდის. ჩვენის აზრით, სახელოსნო განყოფილებებს მაშინ შეუძლიანთ ნაყოფის მოტანა, როცა იგინი რაციონალურად არიან მოწყობილნი. ყოველ სასწავლებელს საგნად ის უნდა ჰქონდეს, რომ ადგილობრივი ხელობა ასწავლოს მოსწავლეებს, და, აბა, ბათუმს რას გამოადგება სტამბა, ლიტოგრაფია და სხვ. ბათუმის სასწავლებლებში რომ ნაოსნობა ესწავლებინათ, ჩემის აზრით, უფრო სასარგებლოც იქნებოდა და ჭკუასთან მოსასვლელიც.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

წარსულ იანვრის 22-ს საგარეჯოს ბანკის გამგეობამ მოახდინა ყრილობა ბანკის ანგარიშის განსახილველად, და როგორც მონაწილე, მეც გიყავი მიწვეული. მე ეს გამომიცხადეს 20-ს იანვარს. წესდების ძალით კი გამგე კომიტეტს ჯერ უნდა წარედგინა თავისგან შედგენილი ანგარიში ზედამხედველი კომიტეტისათვის და იმ განხილვის შემდეგ მოეხდინა საზოგადო ყრილობაც, რომლის დანიშვნაც ყველასთვის ეცნობებინა ორის კვირისა და არა ორი სამი დღის წინ. გამგეობა თუმცა ასე უკანონოდ მოიქცა, მაგრამ საზოგადო ყრილობა მაინც გახსნეს. მე მოვითხოვე, რომ აღერიცხათ,—საკმაოდ შეიყარნენ მონაწილენი თუ არა; მაგრამ გამგეობამ არც ამას მიაქცია ყურადღება და ან რად

---

გებული ლომი, ბატონი მაზრ. უფროსი... მოებჯინა სიტყვები ყელში, და მრისხანედ წარმოსთქვა ორიოდე ნაწყვეტი აზრი, რომ გლეხკაცობა თრთოდა ამ აზნაური ჩილაშვილისაგან, რომ იმათის ცოდოთი და საჩივრებით დავიწვიო, რომ მაგას ბევრი ცუდ-კაცობა ჩაუდენია.—არ დაგიწვა შენ საბძელი? მიუბრუნდა ამ კითხვით ერთს კრებაში მყოფს აზნაურშვილს. «დიაღ, დამიწვა, შენი ჭირიმე», იყო პასუხად. შემდეგ ორიოდე სიტყვა სთქვა იმაზე, რომ...მე თქვენი გულისათვის ვირჯებიო, მხოლოდ იმის თქმა დააკლდა, რომ მე თქვენ არ მაფასებთო,—დაავლო ქუდს ხელი ბ. უფროსმა და ერთი გაჯავრებული გამოვარდა კარში. მთელი საზოგადოება პირ-დაღებული დარჩა... საკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთას საქმე: ეუბნებიან, არწმუნებენ, რომ საყვარელი კაცი ხარ; რომ თქვენ მიერ წარმოდგენილნი პირნი ღირსნი არიან სრულის სასჯელისა, მაგრამ თავად-აზნაურობა თვითონ არ იკისრებს თავის შვილების დაკვლასაო. . ვსთქვათ, ეხლანდელი უფროსი წმინდა და სპეტაკია, როგორც ფიფქი თოვლი, ვსთქვათ ბ. ა—ი არ იკისრებს მის დღეში უბრალოდ ვისიმე კრების წინაშე გასაგზავნად წარდგენას, მაგრამ ვსთქვათ ისიც, რომ ბ. ა—ი აღარ არის უფროსად; რომ მის ნაცვლად დანიშნეს თუნდ «მოსკოვის უწყებების»... მონათლული რ—ვი, და მას ხელში ეს, ა—ისგან გამოგონებული, იარაღი მისცეს,—მაშინ როგორ ბძანდებით, მაშინ რას იტყვით... ვთქვათ, არ მოეწონა ამ საწყალი კორესპონდენტის სახე, (იქნება არც თქვენ მოგწონთ,—არ აგიხირდებით) და წარმადგინა: ესა და ეს ენა-ქავილა ქართველი გაგზავნეთო. «რადა, რისთვის? ვის რა ვირი მოეპარე?» მუშა ბოქულაძისა არ იყოს.—აი ამას ჩიოდენ და ტიროდენ მოწინააღმდეგენი, და არა იმას, რომ თქვენ კეთილის განზრახვით, კეთილის აზრით არ მოქმედობდეთ, და არა იმას, რომ თქვენგან წარმოდგენილნი პირნი არ იყვნენ ღირსნი რომელიმე უუსასტიკესის სასჯელისა... ერთის სიტყვით ამ გვარმა ბ. უფროსის მოქმედებამ პირი დაგვაღებინა და უსიამოვნო ფიქრები მოგვგვარა თავში. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ამ ჭკვიანს და შეგნებულს კაცს, როგორიც არის ა. ა—ი, ისე არ დამართნოდეს, როგორც ერთ ვიღაც მიუხნს, რომელზედაც ბერნე ასე ოხუნჯობს: «საპატიო ტიტული—მესამე პატიოსანი ლითონია (металлъ); ვინც გაუმაგრდება ვეცხლის ძალას, სუსტდება ოქროს წინაშე, და გამოსულნი მძლეველად ოქროსთან ბრძოლაში, ხშირად გაფასდებიან ტიტულის წინაშე. მე ვიცნობდი რომელღაც მიუნხს, საკმაოდ ნიჭიერს პოლიტიკურს მწერალს. პირველად იგი იყო ცხარე დემაგოგი, იმისი ლიბერალიზმი აღიოდა ოც-დაათ გრადუსამდე ჩრდილში რეომიურის ტერმომეტრით. რამდენიმე ხნის შემდეგ ნიდერლანდიის კოროლმა გახადა ის პროფესორად, და ლიბერალიზმი მისი იმ წამსვე ჩამოეშვა თხუთმეტ გრადუსამდე»...

აყალ-მაყალმა იქნამდის გასტანა, რომ წინამძღოლი იძულებული გახდა დაეხურა კრება მეორე დღემდის.

თებერვლის ექვსს, მეორე დღეს, ხელ მეორედ შეიკრიბნენ ბ. მაზ. უფროსის წინადადების განსახილველად. ბევრი ილაპარაკეს იმაზე, რომ აირჩეს რამდენიმე პირი და იმათ წარუდგინონ ხოლმეო მაინც თავად-აზნაურთა სია კრებასა. მაგრამ აქ წამოდგა ბ. გრ. ლოლაძე, რომელმაც მშვენივრად, დაწყნარებით, აუჩქარებლივ მოახსენა საზოგადოებას სრული მავნებლობა ამ წინადადების მიღებისა მომავლისათვის. ამან მოიყვანა ბევრი მაგალითები იმისი, თუ როგორ შეუძლიან ამითი იბოროტ-მოქმედონ ზოგიერთა უფროსებმა. «სულ ხომ ბ. ა—ი არ იქნება უფროსად. ერთიც ვნახოთ დაგვიყენეს ვ—სკი, ან რ—ი, ამათ ხელთ იგდეს ეს ნება-რთვა, ხომ მაშინ სული ამოგვხუთეს. რაც რიგიანი ქართველი იქნება, გაალაგებენ. მარტო მართლა ავაზაკებს დაგვიტოვებენ აქ. მადლობა განვუცხადოთ უფროსს მისის ცდისთვის მშვიდობიანობის დამყარებაზე ქართლში ე. ი. გორის მაზრაში, მაგრამ მისი წინადადება კი უარვყოთ და მოვიქცეთ ისრე, როგორც კანონი გვიჩვენებს». ამითი გაათავა ლოლაძემ.

მემარჯვენეთა ორატორმა აქ კი ველარ მოითმინა, წამოვარდა, გაშმაგდა და მოჰყვა ყვირილს რუსულ-ქართულად: «**это все молодое поколѣнье**»! ეს სულ ვიღაც ახალ-გაზრდების ბრალია. **Гмъ! какое-то моложе поколѣнье!** მაგათ არ უნდათ ავაზაკების გაგზავნა.—წადი და ახლა ელაპარაკე ამ ცარიელა სიტყვების მოროხა-როხეს, რომ ახალი თაობა მართლა ახალს რასმეს ჰპოვებდა; რომ ეს ავაზაკების გაგზავნის წინააღმდეგი არ არის. ერთობ უსაბუთოდ, ერთობ უგვანოდ გამოისეირნა ახალ თაობაზე; ღირსია იგი შესაფერის ჩვენგან ჯილდოსი," მაგრამ ისე ღრმად დაგვასვა მაგან ჩვენ, ახალ თაობას, დაღი, ისეთი უსაბუთო და უსაფუძვლო შეურაცყოფა მოგვაყენა, რომ იგი ღირსია დაიხატოს და გარდაეცეს შთამომავლობას შესაჩვენებლად, მაგრამ ამ ჟამად ვსტოვებ ამ საქმეს და ამ მოკლე ხანში დავუბრუნდები მაგას... ვაჩვენებ, როგორც უნდა გაკიცხვა.

ბ. მაზრის უფროსის წინადადებაზე შემდეგი პროტოკოლი დაადგინეს: გამოუცხადოს უფროსს მადლობა მღვიძარობისა და სასარგებლო შრომისათვის; ჩილაშვილს და ჯორაშვილს აღეკრძალოთ საზოგადოების ყრილობებში ყოფნა, ესე იგი არ ექმნება არსად ხმა.

შემდგომ თ. გ. დ. ერისთავმა შეიტანა წინადადება, რომ რადგანაც სოფლის კეთილშობილნი მოკლებულნი ვართ ღონესა, რომ შვილები ცალკე ვამზადოთ, ამისთვის ვითხოვოთ, რომ მოსამზადებელი კლასები გაიხსნას ქ. თბილისის საშუალო სასწავლებლებთან, რომ კონკურსის ეგზემენის გავლენის ქვეშ ნუ იქმნებიან ჩვენი შვილები, თუ ისინი მიიღებენ მისალებ ნიშნებს, მიღებულ იქმნან ჩვენ ხარჯზედაო. დაადგინეს ამაზე პროტოკოლი და ხელი მოაწერეს.

თ. რ. ერისთავის წინადადებით მიღებულ იქმნენ შემდეგნი წინადადებანი: ვითხოვოთ მმართებლობისაგან, რომ გაიხსნას ჩვენშიაც განყოფილება სავლეხო ბანკისა. ეს დაიხსნის იმათ მოწანწალე ექსპლოატატორებისაგან; ბანკიდამ იაფად აიღებენ ფულებს და ადვილად გამოისყიდიან არათუ მარტო სახნავ მიწებს, ვენახებსაც თავიანთ მებატონეებისაგან; ამას გარდა, ვითხოვოთ კრედიტი სოლო-თამასუქებითა, რომ შეგვეძლოს იაფად ფულის აღება. რასაკვირველია, ყველა ვალი ძნელია, მაგრამ სად ათი შაურის ძლევა და სად 6%-ისა! ეს დიდ შეღავათს მოგვცემს და ჩამოგვხსნის თავად-აზნაურებს ვაჭრებს, რომელნიც უბრალო თანხიდამ ურჯულო სარგებლის წყალობით ათასებს გვაწერენ.—შემდეგ გაჩნდა ბაასი წინამძღოლის კანცელარიის შენახვაზე; გამოიღეს ფული ამისთვისაც და პროტოკოლზე მოაწერეს ხელი.

არც ხიზნების საქმე დასტოვეს უყურადღებოდ. წინამძღოლმა სთქვა, რომ საჭიროა ის სიები ხიზნებისა, რომელნიც შეადგინეს, ადგილობრივ შემოწმდეს თვით მემამულის თანა-დასწრებით, თორემ ბევრი შეცთომებიაო, მაგ. მე სულ არა მაქვს 75-ი დესეტინა და ჩემს ხიზნებსაც ამდენი სახნავი უწერიათო; სკრაში ვენახი არ მოიძევება და ხიზნებს ვენახებიც უწერიათო.—ბევრი ამისთანა შეცდომებია და ამიტომ საჭიროა, რომ სიები ადგილობრივ იყვნენ შემოწმებულნი და შესწორებულნიო. დაადგინეს შემდეგი: ეთხოვოს, ვისდამაც ჯერ არს, რომ ჩქარა გათავდეს ხიზნების საქმე თანადასწრებითა გორის მაზრის თავად-აზნაურთა დეპუტატებისა ხმის ნებით საქმის გარდაწყვეტაში.

სხდომა დაიხურა 6-ს თებერვალს სამს საათზე.

მოაქცევდა ყურადღებას, როდესაც გამგეობის წევრნი ხალხს ისე შეაცქერიან, როგორც ბავშვებს, ან მძინარეებს.

აი, გაიხსნა კიდეც საზოგადო ყრილობა და თავს-მჯდომარედ მამა თევდორე გულისაშვილი ამოარჩიეს. წარმოუდგინეს ყრილობას ანგარიში, რომლის დამტკიცებასაც თხოულობდა გამგე კომიტეტის წევრი ბ. ალ. ცხვედაძე, მაგრამ ყრილობამ არ დაამტკიცა და მოითხოვა, რომ ამოერჩიათ კომისია იმ ანგარიშის გასასჩხრეკად. ეს ბ. ცხვედაძემ ძალიან იწყინა და საბუთადაც ისა სთქვა, რომ შარშანაც აარჩიეთ კომისია და კომისიის წევრნი ჩემთან ვერ მორიგდენო. ხომ ხედავთ, რომ მე უცოდველი პაპა ვარ და ანბრასაწირო კომისიაო; მაგრამ ყრილობამ არ მიხედა ამ საბუთს და ამოარჩიეს ოთხი კაცი კომისიაში. შეადგინეს განჩინება და დაიწყეს ხელის მოწერა განაჩენზედ, მიჟედი, მეც ავიღე კალამი, უნდა მომეწერა ხელი; ამ დროს ვიღაცამ ჩამოძახა ყურში: ჯერ წაიკითხე და ხელი ისე მოაწერეო. წავიკითხე და განჩინებაში სულ სხვა აზრი ამოვიკითხე. იქ ეწერა ყრილობამ დაამტკიცა 1883 წლის ანგარიშიო. ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა: ჩვენ კომისია ამოვირჩიეთ ანგარიშის გასაჩხრეკად და ქაღალდი კი ანგარიშს გვამტკიცებინებენ მეთქი; თან ვიფიქრე,—ნუ თუ ყრილობის თავმჯდომარე მამა ბლაღოჩინი თავის სამწყსოსაც ასე განაგებს,—პირად სხვას ამბობს და ქაღალდზედ სხვასა სწერს მეთქი.......

ამ ჩემს შენიშვნას კიდევ ამას დავუმატებ: ვთხოვ ახლად ამორჩეულს კომისიას, რომ შარშანდლისთანა ამბავი თავიდამ აიცილოს და თავის უფლება და მოვალეობა არავის გააქელინოს. ბ. ცხვედაძემ ყრილობაში წარმოსთქვა, რომ შარშანაც ჩემთან კომისია ვერ შეთანხმდაო და ბანკის ამხანაგობისაგან გავიგე, რომ ამას შარშანდელი კომისიისათვის დავთრები წაურთმევია, როდესაც იმ კომისიას, რაღაც შეუნიშნავს ამ დავთრებში. წრეულს მაინც ნუღარ მოხდება ამ გვარი შეურაცხყოფა საზოგადოებისაგან სარევიზიოდ ამორჩეულ პირთა.

ა. კაპანაძე.

P. S. ეს წერილი რედაქციაში მიმქონდა და გზაზედ შემხვდა ორი წევრი, კომისიაში აღმორჩეულნი, რომელთაც მიამბეს, რომ გამგეობას ბანკისას, ანუ უკეთ ვსთქვათ, ბ. ცხვედაძეს, ჯერაც არ შეუტყობინებია კომისიაში არჩეული წევრებისათვის განაჩენის პირი, რომ დროზედ შეუდგნენ თავიანთ დავალებულ საქმეს. უნდა ისიც მოვიხსენიო აქ, რომ კომისიას ერთი თვე ვადა აქვს ყრილობისაგან მიცემული ამ საქმისათვის და ნახევარ თვეზედ მეტი კიდეც გავიდა,—ესეც ხომ რამე ოინი არ არის?!

ა. კაპანაძე.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

15 თებერვალს.

პეტერბურგი. ხმებია გავრცელებული, რომ იუსტიციის სამინისტროს განიზრახავს ზოგიერთა ცვლილებანი მოახდინოს სამოსამართლო წესდებულებაში; ცვლილებანი განსაკუთრებით შეეხებიან ნაფიცთა სამართალს და აგრეთვე იმას, რომ მსაჯულნი არ იცვლებოდენ.

ლონდონი. წარსულ ღამეს რკინის გზის სტანციის ვიკტორიის პაკჰაუზში მოხდა აფეთქება, რისაგანაც ორი კაცი დაიჭრა; ბანის ერთი ნაწილი აიგლიჯა, ფანჯრები დაიმტვრა; ახლო მყოფი სახლები დაზიანდენ; ჰფიქრობენ, რომ აფეთქება დინამიტით უნდა ყოფილიყოს; ეს დინამიტი საათის მეხანიზმთან ერთად ყოფილა ჩადებული ყუთში და პაკჰაუზში შენახული.

## განცხადებანი

ბებია არჩენს მშობიარებს, დიფტერიტით ავადმყოფებს და აგრეთვე მეწუკიანებს უებარი მალამოთი. ადრესი: პატარა წყლის ქუჩა, სახლი № 7. (7—5)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული

«კედლის კალენდარი»,

სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი ფასტივი.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი ფასტივი. (30—29)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—83)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადხოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო,-სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეეები, სამარილეები, გარჩიცის საფცხეები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაგრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, გატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—61)

ინგლისის მაღაზიაში



### თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—97)

### მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სპირტები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აურაცხელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაგრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისა (?) იატაკისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეჭდები, ზარები, ბინოკლები რულეტკები, გატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპრიცებისა-თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—31)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 | კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 გ. | 3 | კ. |
| მეორისა — — | —1 გ. | $2^1/_2$ | |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 5 | კ. |
| მეორისა — | —1 გ. | $3^1/_2$ | |
| მესამისა — | —1 გ. | 3 | კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 გ. | 5 | კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | 4 | კ. |
| მესამისა — | —1 გ. | $3^1/_2$ | |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 9 | კ. |
| მეორის — | —1 გ. | 8 | კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 16 | კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 9 | კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 გ. | 8 | კ. |
| მეორის — | —1 გ. | 7 | კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 15 Февраля 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.